შპს გეორგინა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურს

„ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის №5386-11ს კანონის მოთხოვნის თანახმად ვებ გვერდზე «reportal.ge“ წარმოგიდგინეთ შპს გეორგინას 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგება.

შპს გეორგინა აღნიშნული კანონით დადგენილი პარამეტრების მიხედვით წარმოვადგენთ მესამე კატეგორიის საწარმოს, ამავე კანონის შესაბამისად „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) ნორმების გათვალისწინებით.

სარჩევი

1. ფინანანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

დირექტორი ციცინო ფუტკარაძე

შპს გეორგინა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2021	31/12/2020	31/01/2020
ა ქ ტ ი ვ ე ბ ი			
ფული და ფულის ექვივალენტი	359757	899742	476075
სავაჭრო მოთხოვნები	51998	23694	56197
გადახდილი ავანსები	245707	68348	181735
მარაგები	2504197	2996046	3110088
მზა პროდუქცია	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხავა მიმდინარე აქტივები	9008	9471	7098
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1294	1294	1294
ძირითადი საშუალებები	256450	261951	407841
სხვა გრძელვადიანი აქტივები	155773	403555	100000
სულ ა ქ ტ ი ვ ე ბ ი	**3584184**	**4664101**	**4340328**
ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი			
სავაჭრო ვალდებულე	11830	74040	9268
საგადასახადო ვალდებულებები	16853	71090	52698
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	113917	669075	905730

სხვა ვალდებულებები	7205	13394	36604
სულ ვალდებულებები	149805	827599	1004300
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	3 434 379	3 836 502	3 336 028
სულ საკუთარი კაპიტალი	3 434 379	3 836 502	3 336 028
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 584 184	4 664 101	4 340 328

შპს გეორგინა

დირექტორი ციცინო ფუტკარაძე

ბუღალტერი თამარ კახელი

შპს გეორგინა

სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	2021	2020
ნეტო ამონაგები	3513817	3528510
საქონლის რეალიზაციიდან	3513817	3528510
მომსახურებიდან	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1971204	(2039227)
საწყისი მარაგები	(2996046)	(3110088)
მარაგების შესყიდვა	(1479355)	(1925186)
გადამუშავეის დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	(2504197)	(2996046)
საერთო მოგება	1542613	1489283
სხვა შემოსავალი (ხარჯი)	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	(123608)	114786
იჯარის მომსახურება	(137400)	(166487)
ცვეთა და ამორტიზაცია	(12470)	(18978)
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	(37075)	(94470)

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(67876)	(103875)
სულ საოპერაციო ხარჯები	(381429)	(498596)
საოპერაციო მოგება	1161184	990687
შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან	5311	15533
მიღებული დივიდენდი	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(63307)	(55746)
მოგება (ზარალი)	1103188	950474
საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში	3836502	3336028
განაწილებული დივიდენდი	(1533000)	(450000)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო წლის ბოლოს	3406690	3836502

შპს გეორგინა

დირექტორი ციცინო ფუტკარაძე

ბუღალტერი თამარ კახელი

შპს გეორგინა

ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური

ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო მოგებიდან	879098	1085106
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1533000)	(450000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური ოპერაციებიდან	113917	236656
წმინდა მოგება(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტში	3302	3391
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფული ექვივალენტი წლის დასაწყისში	899742	476075
ფულ და ფულის ექვივალენტი წლის ბოლოს	359757	899742

დირექტორი ციცინო ფუტკარაძე

ბუღალტერი თამარ კახელი

შპს გეორგინა

შპს გეორგინას 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. **ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო გეორგინა /შემდგომში კომპანია/ საიდენტიფიკაციო კოდით 202192509 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა 2002 წლის 23 მარტს, მისი იურიდიული მისამართია ქ. თბილისი დიდუბის რ-ნ წერეთლის გამზ. 89.

კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელი და იმავდროულად დირექტორი

ციცინო ფუტკარაძე /პ.ნ 01001000999/

კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

საცალო და საბითუმო ვაჭრობა რკინა- კავეულით და სეიფებით , შესაბამისად კოდებით: /47.52 და 46.74/

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში /ლარში/.

შპს გეორგინა

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა სრულად შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ მიღებულ წესებს და დებულებებს, მის პრინციპებს და სტანდარტებს, მისი სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო პერიოდისთვის ფუნქციონალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

- ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების შეფასება ხდება გარიგების თარიღისთვის მათი თვითღირებულებით და ამ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით - სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაყიდვის დოკუმენტების საფუძველზე, სატრანსპორტო მომსახურება მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების (ხელშეკრულებები, ინვოისი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) თანახმად, ხოლო საიჯარო მომსახურება ორმხრივად გაფორმებული ხელშეკრულების პირობით, გათვალიწინებული პერიოდის დასრულებისას.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

აღნიშნული განყოფილება მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე /მ.შ უცხოური ვალუტა, დოლარი ევრო რუბლი/.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება გაყიდული საქონლის გადაუხდელი ღირებულებისგან, რომელიც კომპანიამ დარიცხვის მეთოდით საქონლის მიწოდების თარიღით აღიარა შემოსავლად და ასახა საბუღალტრო აღრიცხვაში, თუმცა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურება არ მიუღია.

კომპანიის ხელმძღვანელობა სისტემატიურად აწარმოებს ამ საკითხზე მუშაობას ე.წ. საეჭვო დავალიანების ამოსაღებად, ამ მიზნით 2020 წლისთვის ორმხრივი ურთიერთობის პირობებში შედეგის მიუღწევლობის გამო 1 მყიდველი სასამართლო გადაწვეტილების საფუძველზე აღსრულების წესით იხდის დავალიანებას, რომელიც დაუფარავია 2021 წლის ბოლოსთვისაც.

სასაქონლო მატერიალური-მარაგები

სასაქონლო - მატერიალური მარაგები აღიარდება მათი შეძენის თარიღით, იგი წარმოადგენს გადასაყიდად განკუთვნილ აქტივს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში. (სანგარიშგებო პერიოდის მანძილზე შპს გეორგინას შემთხვევაში სასაქონლო - მატერიალურ მარაგებს წარმოადგენს კარი, კარის საკეტები, საკეტის აქსესუარები და სეიფები) , იმდენად რამდენადაც აღნიშნული მარაგები ლითონ-მასალებია, რომელიც გრძელვადიანი შენახვისაა, არა მალფუჭადი, კომპანიას მათი ჩამოწერის პრობლემა არ გააჩნია.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით, თუმცა საჭიროებისას-ბაზარზე ცვლილებების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება ასახული იქნას თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, რომელთა გაწევა უხდება კომპანიას მის შესაბამის ადგილამდე (საწყობამდე) მისატანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქცის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით, რომელიც რეგულირდება ადგილობრივი ბაზრით.

შპს გეორგინა

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

შემენილი (მიღებული) აქტივების - ძირითადი საშუალებების შეფასების აღიარება და ასახვა საბუღალტრო აღრიცხვაში ხდება მათი ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც ყალიბდება მათი შემენის, ტრანსპორტირების, საკუთრების უფლების გაფორმების ხარჯებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
კომპანიის ძირიადი საშუალებები შედგება მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინვენტარით, აქვს სასაწყობო და საოფისე ინვენტარი, სტენდებით, სატრანსპორტო საშუალება, იგი სამეურნეო საქმიანობას წარმართავს იჯარით აღებულ შენობაში. (გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებით).

ზოგადად ძირითადი საშუალებების საბუღალტრო აღრიცხვაში თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით,ხოლო შემდგომ უკვე ფინანსური ანგარიშგების შედგენისას აისახება თვითღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის უმცირესით.

ცვეთის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელი ხდება აქტივის გამოყენება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადები უმრავლეს შემთხვევაში განსაზღვრულია 5-10 წლით .

კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივი რომელსაც აქვს შეზღუდული მოქმედების ვადა. არსებული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია თვითღირებულებით და მისი სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

შპს გეორგინა

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა

ძირითადი შაშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მისი გამოყენებიდან არანაირი სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

ი ჯ ა რ ა

კომპანიას არ გააჩნია იჯარა, რომელიც კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, რადგან ფინანსური იჯარა ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას, იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარე ვალდებული იქნებოდა ფინანსური იჯარა ეღიარებინა როგორც აქტივი საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით, ჩვენ შემთხვევაში საწარმო მომსახურების გამწევთან დაკავშირებულია გრძლვადიანი ხელშკრულებით და იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახადელი ანგარიშები , კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

იგი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ვადის ამოწურვის შემთხვევაში.

შპს გეორგინა

სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებების ნაწილში კომპანიას ერიცხება მომწოდებლების ვალი 11830 (თერთმეტიათასრვაასოცდაათი) ლარი, რაც უკავშირდება 2021 წლის ნოემბრი-დეკემრის მოწოდებას, წარმოშობილ ვალთან და მის გადახდასთან დაკავშირებით, ამ მიმართულებით არსებობს ორმხრივი შეთანხმება, და რაიმე სერიოზულ პრობლემას არ უკავშირდება.

სესხი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერიცხება 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიღებული სესხის ნარჩენი 113917(ასცამეტიათასცხრაასჩვიდმეტი) დაუფარავი ნაწილი, სესხი აღებულია დოლარში, ანგარიშგებისათვის გადაანგარიშებულია ლარში შესაბამისი წესის გათვალისწინებით.
სესხებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში, სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტებისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მისაღებად.

გადასახადები

კომპანია მაქსიმალურად იცავს ბიუჯეტთან დაკავშირებული ვალდებულების დროულად უზრუნველყოფის ყველა მოთხოვნას, არ გააჩნია ბიუჯეტთან მიმართებაში ვადაგადასული დავალიანება, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულებაა დეკემრის თვის დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც დარიცხულია დეკემბრის თვეში შეადგინა 16853 ლარი.

კომპანია მოგების გადასახადის ნაწილში ხელმძღვანელობს სსკ-ს ნორმებით, ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელ ან მათგან დაბრუნებულ თანხას, რომლის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები, 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ე.წ.“ ესტონური მოდელის შესაბამისად, მოგების ვადაგადაცილებული გადასახადის გადახდის

ვალდებულება კომპანიას არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

შპს გეორგინა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს წლის ბოლოსთვის სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე.

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში.

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამის საგადასახადო დოკუმენტით.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

-მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა საოპერაციო წლის განმავლობაში, ამ აქტივს წარმოადგენს ფულადი სახსრები და მათი ექვივივალენტები.

- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

- ვალდებულება მიმდინარეა როდესაც:

-მოსალოდნელია მისი დაფარვა გონივრულ სამუშაო პერიოდში.

-ფლობის ძირითადი მიზანი ვაჭრობაა.

-დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში

- არ არასებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადაფასების უპირობო უფლება.

კომპანიაში სამეურნეო ოპერაციები ოპერატიულად აისახება საბუღალტრო აღრიცხვაში, რაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების და სხვა ნაშთების დროული კონტროლის საშუალებას იძლევა.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ორისს" 2015 წლიდან.

საანგარიშო პერიოდის (2021 წლის) მანძილზე კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან:

ჩინეთი შემენილი პროდუქციის 50 % თურქეთი შემენილი პროდუქციის 15 %

იტალია პროდუქციის 25 % და რუსეთი პროდუქციის 12 %.

შპს გეორგინას შემოსავალი 2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის არის-რეალიზაციიდან შემოსული თანხა და შეადგენს 3 513 817 /სამიმილიონხუთასცამეტიათასრვაასჩვიდმეტ/ ლარს.

შპს გეორგინას დირექტორი

ციცინო ფუტკარაძე

ბუღალტერი თამარ კახელი